# ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა გიმნაზიის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის  სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება № 39  01.08.2024წ

2024 წ

# თავი I. მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია(შემდგომში-სკოლა-გიმნაზია) არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - განათლების უფლება. მხოლოდ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის სტატუსის მოპოვება არ არის საკმარისი ამ უფლების დასაცავად. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე;

1.2. სკოლა-გიმნაზიაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლა-გიმნაზიის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

ამ მიზნით:

1.2.1.სკოლა-გიმნაზიას აქვს შინაგანაწესი;

1.2.2.სკოლა-გიმნაზიას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;

1.2.3.სკოლა-გიმნაზიას ჰყავს უსაფრთხოების სამსახური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

1.2.4.სკოლა-გიმნაზიას ჰყავს ექიმი/ექთანი;

1.2.5.თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;

1.2.6.სკოლა-გიმნაზიას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.3.სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო.

## მუხლი 2. მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები

2.1.მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლა-გიმნაზიის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა;

2.2.ინფორმაციას მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლი აცნობს ყველა მოსწავლეს და მშობელს;

2.3.თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა-გიმნაზია აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

**მუხლი 3. სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი**

3.1.თითოეული მოსწავლე და მისი მეურვე ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს;

3.2.მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს, ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

3.3.თოთოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:

3.3.1.თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

3.3.2.დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

3.3.3.არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მოსწავლის სიცოცხლეს;

3.3.4.ფლობდეს ინფორმაციას სკოლა-გიმნაზიის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

3.3.5.სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლა გიმნაზიის პერსონალის, სხვა მოსწავლის ან სხვა მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

3.3.6.დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

3.3.7.იცნობდეს სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

3.3.8.სკოლა-გიმნაზიის მიერ დადგენილი წესების დაცვით შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკით;

3.3.9 სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სკოლა-გიმნაზიის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლა-გიმნაზიის სხვა სივრცეებით: სპორტული მოედანი, ლაბორატორიები და სხვა.

3.3.10შექმნას სასკოლო კლუბები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა გაერთიანება.

3.4მეურვეს უფლება აქვს:

3.4.1.მოითხოვოს სკოლა-გიმნაზიის შენობაში შესვლა სკოლა-გიმნაზიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

3.4.2.მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლაგიმნაზიის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან, სკოლა-გიმნაზიის ექიმთან;

3.4.3.ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ.

## მუხლი 4. სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1.ყველა მოსწავლესა და მის მეურვეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე (იხ.: ვებგვერდი განახლების პროცესშია);

4.2.სასკოლო სასწავლო გეგმას ყოველწლიურად შეიმუშავებს სკოლა-გიმნაზია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგიერთი საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს მოსწავლეებთან/მეურვეებთან;

4.3.სსსმ მოსწავლის ან სხვა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება მეურვესთან;

4.4.სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლესა და მის მეურვეს უფლება აქვს:

4.4.1დააფიქსიროს პოზიცია, რომელი უცხოური ენის სწავლებას ისურვებდა III კლასიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ 10 მოსწავლეს ექნება იგივე პოზიცია, მოითხოვოს არჩეული მეორე უცხოური ენის სწავლება;

4.4.2.დააფიქსიროს პოზიცია, რომელი არჩევითი საგნის სწავლებას ისურვებდა X კლასიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეთა უმრავლესობას ექნება იგივე პოზიცია, მოითხოვოს არჩეული საგნის სწავლება;

4.4.3.მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;

4.4.4.საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია და შესაბამისი საგნის სახელმძღვანელოები;

4.4.5.მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

4.4.6.კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით: პირისპირ ან დისტანციურად;

4.4.7. მიიღოს მონაწილეობა სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში;

4.4.სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლეს არ აქვს უფლება უარი თქვას რომელიმე სავალდებულო საგნის სწავლებაზე;

4.5.მოსწავლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაძლეული კლასის განმეორებით გავლა.

## მუხლი 5. სხვა უფლებები

5.1.თოთოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:

5.1.1.იცნობდეს დებულებას;

5.1.2.მოსწავლის საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლა-გიმნაზიის ექიმს/ექთანს;

5.1.3.საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგს;

5.1.4.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;

5.1.5.სკოლა-გიმნაზიის მიერ საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.2.მეურვეს არ აქვს უფლება დაწყებით და საბაზო საფეხურზე განათლებას ჩამოაშოროს არასრულწლოვანი.

5.3.მეურვეს არ აქვს უფლება უგულებელყოს მოსწავლის საბაზისო საჭიროებები.

**მუხლი 6. სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლა-გიმნაზიის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება**

6.1.იმ შემთხვევაში თუ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის, ან სკოლა-გიმნაზიის დისციპლინური კომიტეტის მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი;

6.2.თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლა-გიმნაზიის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;

6.3.თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;

6.4.თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი II. სკოლა-გიმნაზიის პერსონალის კანონიერი უფლებები

**მუხლი 7. სკოლა-გიმნაზიის პერსონალის უფლებები**

7.1.სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 8. სკოლა-გიმნაზიის პერსონალის მიერ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის ცოდნა**

8.1.სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს, ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

8.2.თოთოეულ დასაქმებულს უფლება აქვს:

8.2.1.იცნობდეს სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

8.2.2.სკოლა-გიმნაზიის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლა გიმნაზიის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

8.2.3.დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

8.2.4.თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

8.2.5.ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

8.2.6.არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას;

8.2.7.ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;

8.2.8.შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლა-გიმნაზიის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ა.შ.

8.2.9.თავისუფლად შეიკრიბონ სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლა-გიმნაზიის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

8.2.10.ფლობდეს ინფორმაციას სკოლა-გიმნაზიის ბიუჯეტისა და წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ.

**მუხლი 9. იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმა**

**9**.1.სკოლა-გიმნაზიის ყველა პერსონალს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოა-გიმნაზიის ვებგვერდზე (იხ.: ლინკი ssgimnazia.ge). გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს;

9.2.მასწავლებელს უფლება აქვს:

9.2.1.მოითხოვოს სრული საათობრივი დატვირთვა იმ საგანში/საგნობრივ ჯგუფში, რომელშიც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

9.2.2.ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;

9.2.3.მიმართოს სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება,დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;

9.2.4.აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;

## მუხლი 10. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალის მიერ სკოლა-გიმნაზიის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

10.1.იმ შემთხვევაში თუ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის, ან დისციპლინური კომიტეტის მიერ სკოლა-გიმნაზიის მასწავლებლის ან სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ პირს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლა-გიმნაზიის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;

10.2.თითოეულ მასწავლებელს ან სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;

10.3.თითოეულ მასწავლებელს ან სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლა-გიმნაზიის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ;

10.4.თითოეულ მასწავლებელს ან სკოლა-გიმნაზიის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.